# გაკვეთილის გეგმა

**მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:** იზა მორჩაძე, 41001020859

**საგანი:** ისტორია

**სწავლების საფეხური/კლასი:** საბაზო/IX

**მოსწავლეთა რაოდენობა:** 7 (მათ შორის სსსმ მოსწავლე არ არის)

**გაკვეთილის თემა:** ქართული საზღვარგარეთული სამონასტრო საგანმანათლებლო კერები

**გაკვეთილის მიზანი:** განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს საზღვარგარეთული სამონასტრო კერების შესწავლა; მიღებული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების უნარების განვითარება.

**ე. ს. გ.** ისტ. IX. 7.მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ

**წინარე ცოდნა:** მოსწავლეებმა იციან ,,ოქროს ხანის" პოლიტიკური ისტორია; იცნობენ ადრეფოდალური ხანის განათლებასა და სამონასტრო ცხოვრებას.

**შეფასება:** თითოეული აქტივობის შემდეგ მოკლე განმავითარებელი კომენტარები, ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა(მოსწავლეთა თვალსაჩინოებისათვის იგი გაკრულია ფლიპჩარტზე)

| № | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები | დრო(წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით წინარე ცოდნის გააქტიურება. მოსწავლეებს ვუსვამ კითხვებს, ამ გზით ისინი იხსენებენ განვლილ მასალას, ადრეფეოდალური ხანის განათლებასა და კულტურას. მოსწავლეთა | კითხვა-პასუხი | მთელ კლასთან | კითხვები გამოტანილი ეკრანზე კომპიუტერისა და პროექტორის საშუალებით | 3 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | თანაბარი ჩართულობისათვის ვიყენებ გამოსაძახებელ ჩხირებს. | | | | |
| 2 | მოსწავლეები ავსებენ ცხრილის ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ პირველ ორ გრაფას. დაწერენ, რა იციან ან რისი ცოდნა სურთ ქართული საზღვარგარეთული სამონასტრო საგანმანათლებლო კერების შესახებ | ცხრილზე მუშაობა | ინდივიდუალური | ცხრილი ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ | 4 წთ |
| 3 | მოსწავლეებს მოკლედ ვესაუბრები ქართული საზღვარგარეთული სამონასტრო-საგანმანათლებ ლო კერების შესახებ. | მინი-ლექცია | მთელ კლასთან | საპრეზენტაციო სლაიდ-შოუ, კომპიუტერი, პროექტორი | 10 წთ |
| 4 | ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ხანის განათლების შედარება, ანალიზი. მოსწავლეები საკითხის ირგვლივ აკეთებენ მოკლე პრეზენტაციებს. | შერეული ჯგუფების შექმნა პირველ-მეორეზე გათვლით, რის შედეგადაც იქმნება ორი ჯგუფი | ჯგუფური მუშაობა | დავალება გამოტანილია ეკრანზე პროექტორის საშუალებით, თაბახის ფურცლები, ავტოკალმები. | 10 წთ |
| 5 | მოსწავლეები იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რა როლს შეასრულებდა აღნიშნული კერები ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და მოახდენდა თუ არა გავლენას ისინი სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიაზე. მსჯელობისა და ანალიზის შედეგებს წარმოადგენენ მოკლე პრეზენტაციების სახით. | შერეული ჯგუფების შექმნა პირველ-მეორეზე გათვლით, რის შედეგადაც იქმნება ორი ჯგუფი | ჯგუფური მუშაობა | დავალება გამოტანილია ეკრანზე პროექტორის საშუალებით, თაბახის ფურცლები, ავტოკალმები. | 10 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | საკითხის შეჯამების მიზნით და იმის დასადგენად, რამდენად გაიგეს აღნიშნული საკითხი, მოსწავლეებს ვუსვამ კითხვებს. | კითხვა-პასუხი | მთელ კლასთან | კითხვები გამოტანილი ეკრანზე პროექტორის საშუალებით | 5 წთ |
| 7 | მოსწავლეებს ვთხოვ, შეავსონ ცხრილის ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ მესამე სვეტი და დამიბრუნონ შევსებული ცხრილები. მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობისათვის ვიყენებ გამოსაძახებელ ჩხირებს. | ცხრილზე მუშაობა | ინდივიდუალური | ცხრილი ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ | 2 წთ |
| 8 | გაკვეთილის მოკლე შეჯამება და საშინაო დავალების მიცემა: მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია რომელიმე ქართული საზღვარგარეთული მონასტრის შესახებ და წარმოადგინონ მომდევნო გაკვეთილზე. | | ინდივიდუალური | | 1 წთ |

**ჯგუფის მუშაობის შეფასების რუბრიკა**

| **კრიტერიუმები** | **ჯგუფის მუშაობა წარუმატებელია** | **ჯგუფის მუშაობა დამაკმაკოფილებელია** | **ჯგუფის მუშაობა წარმატებულია** |
|---|---|---|---|
| **ჯგუფის წევრების ჩართულობა მუშაობაში** | ყველა წევრი არ არის ჩართული | უმრავლესობა ჩართულია | ყველა ჩართულია |
| **ურთიერთმოსმენისა და აზრის გაზიარების უნარი** | კამათობენ, არ უსმენენ ერთმანეთს და არის ხმაური, არ იზიარებენ ერთმანეთის აზრს | ხმაურობენ, ნაკლებად იზიარებენ ერთმანეთის აზრს | უსმენენ ერთმანეთს და იზიარებენ ერთმანეთის აზრს |
| **ინსტრუქციის მიხედვით მუშაობა** | ზუსტად ვერ მიყვებიან ინსტრუქციას | ნაწილობრივ მოყვებიან ინსტრუქციას | მუშაობენ ინსტრუქციის მიხედვით |
| **დროის ლიმიტის დაცვა** | ვერ ეტევიან განსაზღვრულ დროში | უმნიშვნელოდ გააცდინეს დრო | დაიცვეს დროის ლიმიტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ლიდერის როლი** | ლიდერი ვერ მართავს ჯგუფის მუშაობას | ლიდერი ზოგჯერ ახერხებს მუშაობის წარმართვას | ლიდერი ეფექტურად მართავს ჯგუფის მუშაობას |